

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №8
2016 წლის 22 ივლისი

ქ. თბილისი

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების“ (www.matsne.gov.ge, 25.05.2015, 040170030.57.069.016061) მე-9 მუხლს დაემატოს მე-9 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„9. კონკურსში ამხანაგობის მონაწილეობის საკითხი წესრიგდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 10¹ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე

